შპს „კატევე დეველოპმენტი“

ს/კ 405172977

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის

დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1. ფინანსური ინფორმაცია

1.1. ფინანსური მდგომარეობს ანგარიშგება
1.2. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
1.3. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2. სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2.1. ზოგადი ინფორმაცია
2.2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა
2.3. ფინანსური ინსტრუმენტები
2.4. ძირითადი საშუალებები
2.5. არამატერიალური აქტივები
2.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა
2.7. შემოსავლები
2.8. მოთხოვნების აღიარება
2.9. ხარჯები
2.10. შრომის ანაზღაურების აღრიცხვა
2.11. კაპიტალს აღრიცხვა
2.12. მოგებს გადასახადს აღრიცხვა
2.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები
2.14. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები
2.15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები
2.16. პირობითი ვალდებულება

შპს „კატევე დეველოპმენტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარი)

შინაარსი	2020	2019	2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7 084	5 079	166
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	564 835	1 036 790	100 263
მარაგები - მზა პროდუქცია	33 040 948	67 516	6 806
ძირითადი საშუალებები	8 123 840	27 927 517	5 689 895
არამატერიალური აქტივები	49 824	21 834	1 174
სულ აქტივები	41 786 531	29 058 736	5 798 304
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	190 593	131 463	34 643
მოლევადიანი სასესხო ვალდებულებები	2 590 924	2 684 004	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15 705 186	7 028 807	0
სულ ვალდებულებები	18 486 703	9 844 274	34 643
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი	28 017 052	20 103 538	6 104 255
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(4 717 224)	(889 076)	(340 594)
სულ საკუთარი კაპიტალი	23 299 828	19 214 462	5 763 661
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	41 786 531	29 058 736	57 98 304

შპს „კატევე დეველოპმენტი“
2020 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)
(ქართულ ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	**2019**
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	189 620	47 910
სხვა	0	9 142
გაყიდვების თვითღირებულება	(198 858)	(24 942)
საწყისი მარაგები		6 806
მარაგების შესყიდვა		60 710
გადამუშავების დანახარჯები		24 942
საბოლოო მარაგები		0
საერთო მოგება	(9 238)	32 110
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15 082	0
საპროცენტო ხარჯი	(1 128 970)	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(711 291)	(384 971)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1 825 179)	(384 971)
საოპერაციო მოგება	(1 834 417)	(352 861)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(1 993 731)	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	(195 621)
მოგება/(ზარალ) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(3 828 148)	(548 482)
მოგების გადასახადი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(3 828 148)	(548 482)
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი	(3 828 148)	(548 482)

შპს „კატევე დეველოპმენტი“
2020 წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ქართულ ლარი)

	2020	2019
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	19 214 462	5 763 661
კაპიტალის გაზრდა შპს-ში	7 913 514	13 999 283
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	23 299 828	19 214 462

შპს „კატევე დეველოპმენტი“
2020 წლის ფულადი სახსრების მოძრაობა
(ქართულ ლარი)

	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	5 079	166
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 005	4 913
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	7 084	5 079

სააღრიცხვო პოლიტიკა და

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კატევე დეველოპმენტი“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ კანონის“ შესაბამისად 2016 წლის 27 ოქტომბერეს და მიენიჭა ს/კ: 405172977.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს: საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, ასევე სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ., #12, ფართი, #3- 6

კომპანიის დამფუძნებელი (100% წილის მფლობელი) არის შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა (ს/კ 200075113). კომპანიის ხელმძღვანელი (დირექტორი) არის ირაკლი ბოჭორიძე (პ/ნ 01018003006).

2.2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს-ს სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულია: საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებაში შევიდა საწარმოს დაარსებიდან და გამოყენებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდში.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის გამოყენებით.

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

2.3. ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

- ✔ **აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.
- ✔ **ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

- ✔ დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.
- ✔ **ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.
- ✔ **ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.
- ✔ **ფინანსური აქტივები:**
- ✔ კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.
- ✔ კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

2.4. *<u>ძირითადი საშუალებები</u>*

- ✔ შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით ანუ პირვანდელი ღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
- ✔ ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება პირვანდელი ღირებულებიდან ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით.
- ✔ ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, თითოეული დასახელების მიხედვით.
- ✔ ძირითადი საშუალებების ცვეთადი თანხა განისაზღვრება ნარჩენი ღირებულების გარეშე.
- ✔ მცირე ღირებულების (არაარსებითი) შეძენილი აქტივები მიჩნეულია მცირეფასიან საგნებად და აღიარდება მიმდინარე წლის ხარჯად.
- ✔ მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- ✔ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ჩატარდება წელიწადში ერთხელ.

2.5. *არამატერიალური აქტივები*

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამა. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

2.6. *სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა*

- ✔ შეძენილი საქონელი შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.
- ✔ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.
- ✔ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.
- ✔ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.
- ✔ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ჩატარდება არაუმცირეს წელიწადში ორჯერ.

2.7. *შემოსავლები*

- ✔ კომპანია მომხმარებლებს აწვდის სასტუმროს მომსახურებას, საკვების და სასმელის მიწოდებას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.
- ✔ ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

2.8. *მოთხოვნების აღრიცხვა*

- ✔ სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის გაცემასთან.

- ✔ მოთხოვნები მიწოდებიდან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით ანუ საეჭვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით.
- ✔ საეჭვო მოთხოვნების თანხა განისაზღვრება ინდივიდუალურად პერიოდის ბოლოს.

2.9. *ხარჯების აღიარება*

- ✔ კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.
- ✔ თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

2.10 *შრომის ანაზღაურების აღრიცხვა*

- ✔ ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.
- ✔ შრომის ანაზღაურება წარმოებს ინდივიდუალური სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად.
- ✔ შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვროს 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი კალენდარული დღის გათვალისწინებით.

2.11. *საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა*

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

2.12. *მოგების გადასახადი აღრიცხვა*

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2 8677	3,2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701

შპს „კატევე დეველოპმენტის"-ს დირექტორი: **/ი. ბოჭორიძე /**

შედგენის თარიღი: **30.09.2021**